წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № _ _

2022 წლის _ _ მარტი

ქ.წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქ. N8 ბინაზე პლატონ ხევსურიანის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 მარტისა N48-48220882 და მოქალაქე მარიამ კუჭავას (პ/ნ 53001056060) 2022 წლის 25 მარტის განცხადებები ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქ. N8 ბინაზე გამოჩენილი აკადემიკოსის, წყალტუბოს საპატიო მოქალაქის, საპატიო სამკერდე ნიშნის მფლობელის, ღვაწლმოსილი პიროვნების პლატონ მიხეილის ძე ხევსურიანის მემორიალური დაფის გახსნის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად :

1. ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქ. N8 ბინაზე განთავსდეს პლატონ ხევსურიანის სახელობის მემორიალური დაფა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

მესამე რანგის უფროსი სპეციალისტი — მარიამ კუჭავა

შეთანხმებულია :

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — მაია ბერაძე

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა